**OPD04/15-009** **16 აპრილი 2015 წ.**

სსიპ შემოსავლების სამსახურს

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

განხორციელდა თუ არა შემოსავლების სამსახურის მიერ, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 ივნისის #131 დადგენილების (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების დამტკიცების შესახებ) მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა)“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოში არსებული თითოეული თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემოწმება.

ასეთი შემოწმების განხორციელების შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ თითოეული ასეთი შემოწმების ამსახველი დასკვნა ან ოქმი.

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge , ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.
გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი